

საბაღისძალო შასლომაზი (1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის წინ და ომისას დაშვაბყდი შასლომაზი)

მიხეილ ბახტაძე

1921 წლის 11-12 თებერვლის ღამეს ლორის ნეიტრალურ ზონაში განლაგებულ ქართულ შეიარაღებულ ძალებზე თავდასხმით დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი. პატარა საქართველო თითქმის ერთი თვის განმავლობაში ებრძოდა საბჭოთა რუსეთს და ცდილობდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენარჩუნებას. სამწუხაროდ, უთანასწორო ბრძოლაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები დამარცხდნენ და საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა.

1921 წლის თებერვალი-მარტის მოვლენებთან დაკავშირებით ყოველთვის ჩნდება კითხვები: შეგვეძლო თუ არა საქართველოში შემოჭრილი საბჭოთა რუსეთის არმიების დამარცხება? სად დავუშვით შეცდომები? სამხედრო მარცხის გარდა, კიდევ რამ განაპირობა დამოუკიდებლობის დაკარგვა და სხვ.

მთავარ კითხვასთან დაკავშირებით, შეეძლო თუ არა საქართველოს მტრის დამარცხება და დამოუკიდებლობის შენარჩუნება, გვინდა აღვნიშნოთ, ჩვენი აზრით, საქართველოს გააჩნდა სათანადო რესურსი, რათა 1921 წელს მტერი დაემარცხებინა. საჭირო იყო ამ რესურსის სწორი გამოყენება. თუმცა ამჟერად ამ საკითხზე საუბარს არ ვაპირებთ.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ შეცდომებზე, რომლებმაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოს მარცხი საბჭოთა რუსეთთან ომში. შეცდომები დაშვებულ იქნა, როგორც ომის დაწყებამდე, ასევე ომის პირველ ეტაპზეც 12-15 თებერვლის ბრძოლების დროს და თბილისის დაცვისასაც. აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ძალიან ადვილია 95 წლის შემდეგ შეცდომებზე საუბარი და იმის აღნიშვნა, თუ რისი გაკეთება ჯობდა. 1921 წელს გადაწყვეტილებების მიღება უმძიმეს ვითარებაში უხდებოდათ და ხშირად ძალიან სწრაფადაც და არავინაა დაზღვეული შეცდომებისგან.

ომის დაწყების მომენტში საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი იყო გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძე. ეს სავსებით ლოგიკური იყო, რადგან ილია ოდიშელიძეს გააჩნდა ძალიან დიდი სამხედრო და ადმინისტრაციული გამოცდილება. ვერცერთი ქართველი გენერალი ვერ შეედრებოდა მას ამ მხრივ. თბილისის კადეტთა კორპუსისა და მოსკოვში ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის სამხედრო სამსახურს იწყებს. 1891-1894 წლებში გენერალური შტაბის აკადემიაში სწავლობს. მსახურობს ჯერ კავკასიაში, შემდეგ ბალტიისპირეთში, ხოლო 1902 წლიდან შორეულ აღმოსავლეთში. მონაწილეობს რუსეთ-იაპონიის ომში. 1909 წელს ილია ოდიშელიძე შუა აზიაში გადაჰყავთ. 1910 წლის ივლისში გენერალ-მაიორის წოდება ენიჭება. 1911 წლის ნოემბერში სამარყანდის ოლქის სამხედრო გუბერნატორად, ხოლო 1914 წლის იანვარში თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად ინიშნება. ამ პოსტზე მოუსწრებს

მას პირველი მსოფლიო ომი. 1914 წლის 11 ოქტომბერს გენერალ-ლეიტენანტის წოდება ენიჭება და პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე იგზავნება. ის ჯერ ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის მე-10 არმიის შტაბის, ხოლო დეკემბრიდან 1-ლი არმიის შტაბის უფროსია. ამ პოსტზეა გენერალ-ლეიტენანტი ოდიშელიძე 1917 წლის 16 იანვრამდე. 16 იანვრიდან ის ჯერ XV საარმიო კორპუსის მეთაურია, ხოლო შემდეგ დასავლეთის ფრონტზე მოქმედი მე-3 არმიის სარდალი. 1917 წლის 2 ოქტომბერს ილია ოდიშელიძე კავკასიის არმიის სარდალად ინიშნება. 1918 წლის 26 მაისიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამსახურშია. სხვადასხვა დროს იყო: ქართული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, სამხედრო მინისტრის ამხანაგი (მოადგილე), სამხედრო საბჭოს წევრი, პარიზის საზავო კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს დელეგაციის სამხედრო ექსპერტი, მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი (ბახტაძე 2013, 298-328).

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ილია ოდიშელიძის დანიშვნა მთავარსარდალად ლოგიკური იყო, თუმცა შემდგომში განვითარებულმა ამბებმა აჩვენა, რომ ეს შეცდომა იყო. მან თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას.

აქ გასათვალისწინებელია ერთი რამ, 1918-1921 წლებში ქართულ შეიარაღებულ ძალებს თითქმის მუდმივად და შეუსვენებლად უწევდათ ბრძოლა დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. ისე აღმოჩნდა, რომ ოდიშელიძე არასდროს ყოფილა უშუალო ხელმძღვანელი სამხედრო მოქმედებებისა. ამის მიზეზი ნაწილობრივ მისი ხშირი საზღვარგარეთული მივლინებებიც იყო. მაგალითად, გენერალური შტაბის უფროსის გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის თანახმად, 1920 წლის გაზაფხულზე გენერალი კვინიტაძე მხოლოდ იმიტომ დაინიშნა მთავარსარდალად, რომ ოდიშელიძე საქართველოში არ იმყოფებოდა. აი, რას წერს ის თავის მოგონებებში: „ვინაიდან ამ დროს ღენ. ოდიშელიძე, სამხედრო მინისტრის თანაშემწე, ინსპექტორი ჩვენი შეიარაღებული ძალების, გათვალისწინებული ომის დროს მთავარსარდალის თანამდებობაზე, იმყოფებოდა საზღვარგარეთ, მთავარსარდალად დაინიშნა ღენ. გიორგი კვინიტაძე“ (ზაქარიაძე 2003, 256) ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ოდიშელიძე „საქმეში ნანახი“ არ ჰყავდა. გენერლის დიდი გამოცდილება კი უფრო იმაზე მიუთითებდა, რომ ოდიშელიძე კარგი სარდალი უნდა ყოფილიყო.

ილია ოდიშელიძე ნამდვილად თავისი საქმის პროფესიონალი იყო. სხვანაირად ის რუსეთის საიმპერატორო არმიაში ვერაფერს მიაღწევდა. მისი მაღალი კვალიფიკაცია ნათლად დასტურდება თუნდაც იმ მოხსენებებით, რომელსაც ის პერიოდულად წარუდგენდა მთავრობას და სადაც მართებულად იყო გაანალიზებული არსებული ვითარება და სწორად იყო დასახული სამომავლო გეგმები. მიუხედავად მაღალი პროფესიონალიზმის და დიდი გამოცდილებისა, ყველაზე კრიტიკულ და საჭირო მომენტში გენერალმა ილია ოდიშელიძემ დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა. რა იყო ამის მიზეზი? ჩვენი აზრით, ორი ფაქტორია გამოსაყოფი. პირველი – ოდიშელიძე მსახურობდა რუსეთის საიმპერატორო ჯარში, რომელიც დიდი ხნის ფორმირებული იყო და უკვე არსებული წესების მიხედვით მოქმედებდა. იქ ყველაფერი განსაზღვრული იყო, მათ შორის მთავარსარდალის ფუნქციაც. საქართველო კი შეიარაღებული ძალების ფორმირების პროცესში იყო. აქ ყველაფერი ჯერ კიდევ იქმნებოდა და მეთაურობის ის სტილი და მეთოდები, რაც საიმპერატორო ჯარში იყო, არ გამოდგებოდა. გენერალი ოდიშელიძე მოქმედებდა რუსული ჯარის სტილში, ამას ის პირდაპირ აღნიშნავდა კიდევ 1922 წელს კონსტანტინოპოლში წაკითხულ მოხსენებაში.

საქართველოს ვითარებაში ეს დამლუპველი აღმოჩნდა. მეორე – მისი ხასიათის ნაკლი, საჭირო მომენტებში ვერ იჩენდა პრინციპულობას და ხშირად იცვლიდა აზრს.

ჩვენთვის ერთი რამ ცხადია, გენერალი ილია ოდიშელიძე იმ ქართველ პატრიოტთა რიგს მიეკუთვნება, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის პირველიდან უკანასკნელ დღემდე ქვეყნის სამსახურში იდგნენ და გულწრფელად ცდილობდნენ გაეკეთებინათ ყველაფერი სამშობლოს კეთილდღეობისათვის. სხვა საკითხია თუ რამდენად შეძლეს ეს.

შეცდომა № 1. სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტს სარდლად გენერალი იოსებ (სოსო) გედევანიშვილის დანიშვნა. გედევანიშვილის დანიშვნა ამ ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულების ხელმძღვანელად ძალიან დიდი შეცდომა იყო. გედევანიშვილი ძალიან ახლოს იყო სოციალისტ-ფედერალისტების პარტიასთან და 1906 წელს მონაწილეობა მიიღო დუშეთში ფოსტაზე თავდასხმაში, რის გამოც ჯარიდან დაითხოვეს. ამ დროს ის მხოლოდ შტაბს-კაპიტანი იყო. ამის შემდეგ თითქმის ათი წელი სოსო გედევანიშვილს არანაირი შეხება სამხედრო საქმესთან არ ჰქონია. ჯარს ის მხოლოდ 1917 წელს დაუბრუნდა. მას ფაქტობრივად არ ჰქონდა გამოცდილება და არც მხედართმთავრისათვის საჭირო პიროვნული თვისებები გააჩნდა.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ დანიშნა ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრონტის სარდლად? თუმცა ალბათ უფრო ზუსტი იქნება ვიკითხოთ, რატომ წარადგინა ის ამ თანამდებობაზე ილია ოდიშელიძემ? საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობა გარკვეული უნდობლობით უყურებდა ქართველ გენერლებს. როგორც ჩანს მათ პანიკურად აშინებდათ „ბონაპარტიზმის“ არარსებული საფრთხე. ეს, ცხადია, ართულებდა საქმიან ურთიერთობას სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შორის. ილია ოდიშელიძე ცდილობდა, პოლიტიკურ ხელმძღვანელებთან, რომლებიც ამავე დროს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებიც იყვნენ, ნორმალური ურთიერთობა დაემყარებინა და ამის გამო ხშირად ლავირებდა, ცდილობდა პოლიტიკოსთათვის მისაღები ნაბიჯები გადაედგა და ა.შ. ეს, რა თქმა უნდა, მისი უმთავრესი შეცდომა იყო და შემდგომში აღიარა კიდევ. ვფიქრობ, სოსო გედევანიშვილის წინ წამოწევაც მის ამ მიზანს ემსახურებოდა. გედევანიშვილს „კარგი თვალით“ უყურებდნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მისი ძმა ალექსანდრე სამხედრო მინისტრის მოადგილე იყო.

შეცდომა № 2. ერთმა შეცდომამ – გედევანიშვილის დანიშვნამ – გამოიწვია მეორე, გაცილებით მძიმე და ტრაგიკული. გენერალმა გედევანიშვილმა სანაინის ხეობაში დისლოცირებული და მის დაქვემდებარებაში არსებული სამხედრო შენაერთები მცირე რაზმებად დაყო და ცალკეულ სოფლებში განათავსა. ამ გზით ცდილობდა სომხური მოსახლეობისგან იარაღის ამოღებას და მათი აჯანყების თავიდან აცილებას. გავრცელებულია მოსაზრება, რომ ქართული შენაერთების დაქუცმაცება ილია ოდიშელიძის ნებართვით მოხდა, აკაკი ჩხენკელის თხოვნის შედეგად. ეს მცდარი შეხედულებაა.

1922 წლის მარტში გენერალმა ოდიშელიძემ კონსტანტინოპოლში წაიკითხა თავისი მეორე მოხსენება 1921 წლის ომის შესახებ.¹ აი, რას წერს თავად ილია ოდიშელიძე: „არ

1 ამ მოხსენების სრული ტექსტი ქართულად (და რამდენადაც ჩვენ ვიცით, არც რუსულად) გამოქვეყნებული არ არის. ილია ოდიშელიძის მოხსენების სრული ტექსტი საკუთარი არქივიდან მოგვაწოდა პარიზში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ ქალბატონმა ანა ჭივილიძემ, რისთვისაც გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ მას.

მახსოვს, ჩემს მიერ იოსებ გედევანიშვილისადმი დირექტივის გაგზავნამდე თუ შემდეგ, ჩემთან სპეციალურად შემოიარა აკაკი ჩხენკელმა და დაჟინებით მომთხოვა, რომ ბორჩალოს ე.ი. სანაინის ხეობის ყველა სომხურ სოფელში ჩამეყენებინა ერთი ან ორი ასეული, რათა არ მომხდარიყო აჯანყება. მე მტკიცედ უარვყავი მისი თხოვნა, შევეცადე დამემშვიდებინა იმით, რომ ჯარი იქნება ერთ მუშტად შეკრული სადახლოსთან. ხოლო აჯანყების შემთხვევაში სომხური სოფლები დამორჩილებული იქნება ძალით, რის შესახებაც მათ წინასწარ გავაფრთხილებ. „აი თქვენ ეს გინდათ. დამორჩილება სისხლისღვრით. მე კი მიინდა საერთოდ ავიცილო ეს აჯანყება;“ – ცხარედ შემეკამათა აკაკი ივანეს ძე. რადგან არგუმენტაცია რუსული მუშტით, რომელიც კერპილის სამხრეთ-აღმოსავლეთით იდგა და თურქული მუშტით, რომელიც ალექსანდროპოლთან იდგა, მე არასერიოზულად მომეჩვენა, ამასთანავე სამხედრო საქმის გაკვეთილები, რომლებსაც სოციალ-დემოკრატთა უფროსები მიტარებდნენ, უკვე მაღიზიანებდა, მშრალად ვუპასუხე აკაკი ივანეს ძეს, რომ მის რჩევას ვერ მივიღებ. ის ჩემგან საკმაოდ გაბრაზებული წავიდა (ის ყველაფერს დაადასტურებს თუ შეეკითხებით). ასე რომ, ზღაპარი იმის შესახებ, რომ ჩხენკელმა „მიბრძანა“ ჯარების დაფანტვა და მე იმწამსვე აღვასრულე „ბრძანება“, ამ საქმით დაინტერესებული ბოროტი პირების ბოროტი მონაჭორია“ (ბახტაძე 2016, 341-343). გენერალ ოდიშელიძის მოხსენებაში დაცული ის დირექტივაც, რომელიც ომის წინ შეიმუშავა და გედევანიშვილს გაუგზავნა. „ჯერ კიდევ მთელი გვარდიისა და ყველა განკუთვნილი ბატალიონის თავმოყრამდე თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით და 11 თებერვლის მოულოდნელ თავდასხმამდე კარგა ხნით ადრე, ფრონტის სარდალს იოსებ გედევანიშვილს გაუგზავნე ბრძანება, რომლის შინაარსი შემდეგი იყო:

- ა) თავდასხმა მოსალოდნელია სამხრეთიდან თურქებისა და სომხების ბანდებისაგან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან რუსების მხრიდან;
- ბ) თავდასხმა სავარაუდოდ დაიწყება ერთდროულად სამი მიმართულებიდან: 1) ფართო ზოლად წითელ ხიდსა და სოფელ სადახლოს შორის თბილისზე, 2) სანაინის მიმართულებით და 3) ლორეს (ვორონცოვკის) მიმართულებით;
- გ) ამავე დროს დაიწყება თავდასხმა, ზოგან მოჩვენებითი, ზოგან სერიოზული: კახეთში, ფოილოს ხიდიდან თბილისზე, სოხუმზე და შესაძლოა ბათუმზეც. უღელტეხილებისა და თოვლის საფარის სიმაღლე კიდევ 10 დღით გვიცავს თავდასხმისაგან საქართველო-სამხედრო და იმერეთის-სამხედრო² გზებიდან;
- დ) მე, როგორც მთავარსარდალი პირველ ამოცანად ვისახავ ტფილისის შენარჩუნებას, როგორც დედაქალაქისა და მთავარი მატერიალური და მორალური ცენტრისა;
- ე) ამ ამოცანის შესრულების ნაწილს, ტფილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ვაკისრებ ჯარებს, რომლებსაც გენერალი იოსებ გედევანიშვილი სარდლობს;
- ვ) ჩვენ იმდენად სუსტი და მცირერიცხოვანი ვართ მოწინააღმდეგესთან შედარებით, როგორც მოქმედების მთელ თეატრზე, ასევე თითოეულ ფრონტსა და თითოეულ ადგილზე, რომ პასიური დაცვა არ შეგვიძლია. ჩვენ შეგვიძლია ვიმოქმედოთ და უნდა ვიმოქმედოთ აქტიურად, მანევრირებით;
- ზ) ვითარება ბოლომდე არაა გარკვეული. თუმცა ზუსტად ვიცით, რომ რუსები თავს

2 იგულისხმება გზა მამისონის უღელტეხილიზე

- იყრიან წითელ ხიდთან და ფოილოსთან, ხოლო სამხრეთით თითქოს თავის მარცხენა ფრთას წელავენ თურქების და სომხების ბანდებამდე;
- თ) ვითარების საბოლოო გარკვევამდე ჯარების ბირთვი იყოლიეთ ტფილისის სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით. სანდარა-ეკატერინოფელდი, სადახლო-კაჩალანი ოთკუთხედის ცენტრში. ავანგარდებმა დაიკავეს ლორესა და სანაინის მიმართულებები და წითელი ხიდი – კერპილის ფრონტი. შესაძლოა გიბრძანოთ შეტევა წითელი ხიდით ზოგადი მიმართულებით ყაზახზე, რათა მოვჭრათ რუსების კულპის³ ჯგუფი თავისი საკომუნიკაციო გზებს;
- ი) ავანგარდებისა და მეწინავე ნაწილების შესახებ ჩემს მიერ მითითებული იყო შემდეგი: ბეზობდალის უღელტეხილსა და შაგალის გასასვლელში (ხიდზე) იყოლიეთ მხოლოდ სამეთვალყურეო რაზმები. სპეციალურად შაგალის ხიდთან დაკავშირებით მივუთითე, რომ სამეთვალყურეო რაზმი უნდა ყოფილიყო არა უმეტეს ოცეულისა ან ნახევარი ასეულისა, რომლის მთავარი ამოცანა იქნებოდა ხიდის აფეთქება, როცა ამას ვითარება მოითხოვდა;
- კ) კარგად მახსოვდა რა, სომხეთთან ომის დროინდელი სანაინის ამბები, 11 თებერვლის თავდასხმამდე კარგა ხნით ადრე, იოსებ გედევანიშვილს სიტყვიერად ვუბრძანე და იმავე დღეს გავუმეორე წერილობით ტელეგრაფის მეშვეობით, ვუკარნახე რა შტაბის უფროსს გენერალ ზაქარიაძეს, რომელიც აქ თქვენს წინაშე ცოცხალი მომწემა. ბრძანების არსი იყო (ვთხოვ გენერალ ზაქარიაძეს შემისწოროს თუ რამე შემეშლება): 1) გახსოვდეთ სომხეთ-საქართველოს ომის დროინდელი სანაინის ამბები. 2) არ განალაგოთ სადახლოს სამხრეთით ბამბაკის ხეობაზე თვალყურის სადევნელად ერთ ბატალიონზე (ე. ი. 700 ხიშტი) მეტი. ბატალიონი დისლოცირებული უნდა იყოს კომპაქტურად და მეწინავე რაზმი შაგალთან არ უნდა აღემატებოდეს ოცეულს, ყველაზე დიდი ნახევარ ასეულს. 3) სხვა ყველაფერი, თქვენი სამი ბატალიონიდან, იყოლიეთ ერთ მუშტად შეკრული, მაგრამ არა სადახლოზე სამხრეთით. 4) გააფრთხილეთ თქვენი ჯარები, რომ ადგილობრივი მცხოვრებლების – სომხების თავდასხმა მოსალოდნელია ნებისმიერ დღესა და ნებისმიერ საათს. ჩემი აზრით, ისინი ძალიან არასანდონი არიან. 5) ბორჩალოელი სომხების თავდასხმის შემთხვევაში უნდა ვიმოქმედოთ დაუნდობლად. 6) იმ შემთხვევისთვის, თუ ადგილობრივები ჩვენ მეწინავე რაზმებს უკანდასახევი გზებს მოუჭრიან, მათ უნდა მივუთითოთ უკანდასახევი გზები მთებზე (აქ დაწვრილებით ჩამოვთვალე ის გზები მთებში, რომლებიც ბერძნების, თათრებისა და ქართველების საცხოვრებელ ადგილებზე გადიოდა. ეხლა არ მახსოვს, რადგან რუკა არ მაქვს ხელთ). ეს გზები ეხლავე უნდა იყოს შესწავლილი და რეკოგნოსტირებული“ (ბახტაძე 2016, 341-343).

მიუხედავად მთავარსარდლის კატეგორიული მოთხოვნისა, სოსო გედევანიშვილმა დირექტივა არ შეასრულა და ძალები დაფანტა. თუ რატომ? ამას ოდიშელიძე შემდეგნაირად ხსნის, „ვფიქრობ, რომ აკაკი ივანეს ძის (იგულისხმება აკაკი ჩხენკელი – მ. ბ.) ბორჩალოში მოგზაურობის დროს, ანდაც ტფილისში ამ საკითხზე საუბარი ჰქონდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდალთან. მის რჩევებს იოსებ გედევანიშვილი, რომელიც ფრიად

3 დასახლებული პუნქტი კულპი მდებარეობს სომხეთში, რკინიგზის ხაზზე სადგურ აირუმის მახლობლად.

მგრძობიარე იყო პოლიტიკოსების მოსაზრებებთან და რჩევებთან დაკავშირებით, უფრო კეთილგანწყობით შეხვდა“ (ბახტაძე 2016, 347).

მთავარსარდალმა იცოდა, რომ გედევანიშვილმა მისი ღირექივა არ შეასრულა. „გავეცი რა ჩემს მიერ ზემოთ აღნიშნული ბრძანება და დავათვალიერე რა, რამდენიმე ნაწილი და რამდენიმე ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე, წავედი ბათუმში. სიმაგრის სანახავად და კომენდანტისათვის რამდენიმე მითითების მისაცემად, რადგან თურქების ქმედება გვაეჭვებდა მეც და თავდაცვის საბჭოსაც. დავბრუნდი რა ბათუმიდან, საომარი მოქმედებების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, დამხვდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე გამოცხადებული ქვედანაყოფების შემდეგი განლაგება:

- ა) ვორონცოვკის ავანგარდი გვარდიის 3 ბატალიონი და გვარდიისვე ცხენოსანი პოლკი (მე მგონი 1500 ხიშტი).
- ბ) სადახლოს ავანგარდი არმიის 3 ბატალიონი და არმიისვე ცხენოსანი პოლკი – 2100 ხიშტი.
- გ) გვარდიის ექვსი ბატალიონი სამხრეთ-აღმოსავლეთის ჯგუფის ბირთვის წარმოადგენდა და განლაგებული იყო ტფილისის სამხრეთით. რამდენადაც მახსოვს არახლო-სანდარა-წითელი ხიდის რაიონში. სულ 3000 ხიშტი.
- დ) წითელ ხიდთან ასევე იდგა ავანგარდი, რომლის რაოდენობა არ მახსოვს.
- ე) ფოილოს ხიდთან ჩემი განკარგულებით იდგა გვარდიის ორი ბატალიონი სულ 1000 ხიშტი.

სულ 7 600 ხიშტი და 6 ესკადრონი 50 000 წინააღმდეგ (25 000 რუსი და 25 000 თურქი და 7 000 ცხენოსანი). ამ განლაგებაში, რომლის სქემაც სწორი იყო, არ მომწონდა ორი დეტალი, რომლებიც ჩემი აზრით მნიშვნელოვანი იყო: 1) ჩემი, ზეპირად და წერილობით გაცემული ბრძანების საწინააღმდეგოდ სადახლოს ავანგარდი ერთ მუშტად კი არ იყო შეკრული, არამედ განლაგებული იყო ასე: ერთი ბატალიონი სადახლოში, ერთი ბატალიონი (მე-8) სოფელ შინიხში და ერთი ბატალიონი (მე-5) გაფანტული იყო სამ ჯგუფად ბამბაკის ხეობის სამხრეთ ნაწილში შაგალის სასაზღვრო ხიდის ჩათვლით. 2) ავანგარდი ჯელალოლისთან დიდი მომეჩვენა.

ჯარების სავსე მართვის რუსული წესდების თანახმად, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით, საკუთარის არარსებობის გამო, იოსებ გედევანიშვილს შეეძლო, არ შეესრულებინა ჩემი ბრძანება თუ ამას ვითარება მოითხოვდა. მან შემდეგი განმარტებები მომცა: ა) ჩვენ არ ვიცით შემოგვიტევენ თუ არა რუსები და როდის. ხოლო სომეხი მოსახლეობა არ აჯანყდება თუ სოფლებში ჯარის გარკვეული რაოდენობა იქნება. ბ) ეს განლაგება მჭირდება დროებით, სანამ არ განვაიარაღებ სომხურ მოსახლეობას. შემდეგ უფრო კომპაქტური განლაგება მექნება. გ) სამი ბატალიონი ჯელალოლისთან ეს მხოლოდ სახელია. ხიშტების რაოდენობა მათში დადგენილზე მნიშვნელოვნად ნაკლებია (ციფრები არ მახსოვს) და რაზმი უფრო დამოუკიდებელი იქნება მანევრირებისას თუ მის რაოდენობას არ შევამცირებ. ბოლო არგუმენტს დავეთანხმე, მაგრამ პირველი ორი არ მაკმაყოფილებდა. მე ვუბრძანე არ დაეყოვნებინა განიარაღება, რომელიც შენელდა მის საუბრებით ვილაც პოლიტიკოსებთან“ (ბახტაძე 2016, 345-346).

ოდიშელიძის კიდევ ერთი შეცდომა ის იყო, რომ მან დაუყოვნებლივ არ გადააყენა გედევანიშვილი და არ გააუქმა მისი ბრძანება. მართებულად შენიშნავდა გვარდიის იმე-

რეთის მეორე ბატალიონის უფროსი აკაკი კვიციანიშვილი, რომ „ჩვენ მთავარსარდალს გენ. ოდიშელიძეს მაშინვე უნდა მიეღო ზომები, რომ ასეთი ურჩი გენერალი გადაეყენებინა“ (კვიციანიშვილი 1990, 117-118).

შეცდომა № 3. ეს უფრო დანაშაულია, ვიდრე შეცდომა. სანანინის მიმართულებაზე დისლოცირებულ ჯარში ფაქტობრივად არ არსებობდა დისციპლინა და საბრძოლო მომზადება უმდაბლეს დონეზე იყო. ამაზე პასუხისმგებელი სხვებთან ერთად გენერალი გიორგი სუმბათაშვილიც იყო. სწორედ ის მეთაურობდა ამ ათასეულს.

შეცდომა № 4. გენერალი ოდიშელიძე კონსტანტინოპოლში წაკითხული მოხსენებისას აცხადებდა, „სომხების მოღალატურ თავდასხმას რუსების შეტევა მოჰყვა. როგორც უკვე მოგახსენეთ, მე და გედევანიშვილმა ჩავთვალეთ, რომ რუსეთთან ომი დაიწყო, რის შესახებაც განცხადებულ იქნა თავდაცვის საბჭოში. მაგრამ პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ არ დაწყებულა და ჟორდანიას დამფუძნებელ კრებაში აცხადებდა, რომ გვიტევენ სომხებით“ (ზახტაძე 2016, 350). თუმცა არსებობს ოდიშელიძის განცხადების საპირისპირო ინფორმაციები. კიდევ ერთხელ მოვიტანთ ამ ცნობებს. ეს მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან სხვა პირთა მოგონებებში სრულიად საპირისპირო ფაქტია დაფიქსირებული. მაგალითად, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი წერს, რომ ოდიშელიძეს გულწრფელად ეგონა მართლა მხოლოდ სომხები გვებრძვიანო (მაზნიაშვილი 1990, 157). კიდევ უფრო საინტერესოა აკაკი კვიციანიშვილის მოგონება, რომ „15 თებერვალს ფოილოს კოლონამ შეამჩნია რუსის ჯარების მოძრაობა წითელი ხიდის მიმართულებით. შემჩნეულ იქნა ფოილოს წინააღმდეგ რამდენიმე ბატარეა საომარ პოზიციებზე. კოლონის უფროსი დაელაპარაკა პირდაპირი მავთულით მთავარსარდალს – მტერი ამაღამ აუცილებლად გადმოვა შეტევაზე. ნება მოგვეცით, ხიდი ავაფეთქოთო. გენერალმა ოდიშელიძემ უპასუხა – ჩვენ ვიმყოფებით მეგობრულ განწყობილებაში საბჭოთა რუსეთთან. დაუშვებელია ჩვენი მხრიდან მტრული მოქმედება. ერიდეთ პროვოკაციას“ (კვიციანიშვილი 1990, 121). სავარაუდოა, რომ გენერალი ოდიშელიძე თავის გამართლებას ცდილობს. მის მიერ ომის დასაწყისში დაშვებული უმთავრესი შეცდომა, რომელმაც მერე უკვე სხვა არასწორი ქმედებები გამოიწვია – სწორედ ძირითადი მოწინააღმდეგის არასწორი განსაზღვრა იყო. პარადოქსია, მაგრამ ადამიანმა, რომელიც თავის ყველა მოხსენებაში ხაზს უსვამდა, რომ მთავარი მოწინააღმდეგე რუსეთია, ომის საწყის ეტაპზე ეს არ ან ვერ დაიჯერა.

საინტერესოა, საქმის რეალური ვითარება არც ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ იცოდა. 15 თებერვალს დამფუძნებელი კრების დეპუტატების წინაშე გამოსვლისას მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ განაცხადა: „მოქალაქენო! განმეორდა 1918 წლის ამბავი. სომხეთი კვლავ ვერაგულად თავს დაგვესხა... ერევნის ეხლანდელი მთავრობა დღევანდლამდის სდუმს და სცდილობს ქვეყანას ამცნოს, რომ აქ ომი კი არა ადგილობრივი გლეხთა აჯანყებააო. მაშ ვისია ჩვენი ჯარების წინ მდგომი ცხენოსანი და ქვეითი პოლკები, არტილერია და ტყვისმფრქვეველები? ვინ მოიყვანა სომეხ-რუსების რეგულარული ნაწილები ბორჩალოს მაზრაში? [...] ერევნიდან ახლავე სთხოვენ რუსეთს შველას და მფარველობას, მაგრამ ჩვენ გვაქვს ოფიციალური განცხადება რუსეთის წარმომადგენლისა, რომ მოსკოვი ამ საქმეებში არ ერევა, რომ ის გადაჭრით სდგას 7 მაისის ხელშეკრულების ნიადაგზე. ერევანს დარჩა ერთადერთი ბაქო, სადაც დიდი გავლენით სარგებლობენ საქართველოდან გაქცეული ქართველი ბოლშევიკები, თავისი ხალხისა

და ერის აშკარა მოღალატენი, ერევნის ავანტიურის წამქეზებელნი“ („საქართველოს რესპუბლიკა“ 1921).

შეცდომა № 5. მთავარსარდალი და გენერალური შტაბის უფროსი ფაქტობრივად არ მონაწილეობდნენ ომის პირველ ეტაპზე მიმდინარე ბრძოლებში. უფრო მეტიც, ზუსტი წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, თუ რა ხდება საბრძოლო მოქმედებების რაიონში. შემდგომ ილია ოდიშელიძე წერდა: „მე არ აღვწერ ბრძოლის პერიპეტიებს, რადგან ბრძოლას წარვმართავდი არა მე, არამედ გედევანიშვილი. თავად თავდაცვის საბჭოს მიერ ის სწორედ ამისთვის იყო დანიშნული“ (ბახტაძე 2016, 353). მთავარსარდლის პასუხისმგებლობას კიდევ უფრო ზრდის ის ფაქტი, რომ ამ დროს სხვა მიმართულებებზე ჯერ სამხედრო მოქმედებები დაწყებული არ იყო. გენერალ ოდიშელიძის არ თუ ვერ ჩარევა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე მიმდინარე სამხედრო მოქმედებებში, აშკარად მისი შეცდომა იყო. მით უმეტეს იცოდა, რომ ამ მიმართულებას „რევოლუციური“, როგორც თავად უწოდებს, გენერალი მეთაურობდა.

მთავარსარდლისა და გენერალური შტაბის უფროსის პასუხისმგებლობა იყო, რომ 12-15 თებერვლის ბრძოლებში დაშვებული იყო შეცდომები. ვერ განხორციელდა ის, რაზეც გენერალი ოდიშელიძე 3 იანვრის მოხსენებაში წერდა: დაფანტულმა საჯარისო ქვედანაყოფებმა შეკრება ვერ შეძლეს, რიცხობრივი უპირატესობა ვერ მოვიპოვეთ, ინიციატივას მოწინააღმდეგე ფლობდა, არ იყო კოორდინაცია ქვედანაყოფების მოქმედებებში. შთაბეჭდილება იქმნება, რომ უმაღლესი სარდლობა ამ პერიოდში ფაქტობრივად არაფერს აკეთებდა და ყველაფერი გენერალ სოსო გედევანიშვილის ამარა იყო დატოვებული. ის კი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა (ბახტაძე 2013, 18-34). აკაკი კვიციანიშვილის სიტყვებით, 12-16 თებერვალს ქართულ ჯარს ნამდვილი პატრონი არ ჰყავდა (კვიციანიშვილი 1990, 121). გენერალ ოდიშელიძის მიერ გაკეთებული მოხსენების შემდეგ გამართული კამათისას ვალიკო ჯუღელმა აღნიშნა: „ბატონებო, მე ვნახე გენერალი ოდიშელიძე მას მერე, რაც ყუმბარა ესროლეს.⁴ ისე მშვიდად ეჭირა თავი, თითქოს ქალაქის ბურთულა ესროლათ. ამიტომ ჩემი ნათქვამი ეხება არა ამ ადამიანის პირად გულადობას ან სიმბდალეს, არამედ მის მთავარსარდლობას. ბატონებო, საშინელი რამ მოხდა. ფრონტზე პირველი გასროლისთანავე გენერალი ოდიშელიძე ისე დაიბნა, რომ საომარი მოქმედებების წარმართვის ყოველგვარი უნარი დაკარგა, ჯარს არავითარი მითითება არა მიუღია და ყოველი ნაწილი, რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა“ (კვინიტაძე 2014, 188). გენერალი კვინიტაძე იხსენებს რა 1921 წლის 15 თებერვალს გვიან ღამით გამართულ შეკრებას, აღნიშნავს, მთავარსარდალმა და გენერალური შტაბის უფროსმა არ იცოდნენ არც შენაერთების ადგილმდებარეობა და არც მათი მდგომარეობა (კვინიტაძე 2014, 33).

შეცდომა № 6. გენერალმა გედევანიშვილმა 13 თებერვალს კონტრშეტევის განხორციელება განიზრახა. გენერალ სუმბათაშვილის ქვედანაყოფის გადარჩენილ მეომრებს არმიის 1-ლი ათასეული, სადარაჯო ათასეულის ორი ასეული და გვარდიის საგანგებო ბატალიონი მიაშველეს და სანაინზე შეტევა დაავალეს. ამავე დროს გენერალ ჯიჯიხიას შენაერთს აირუმზე იერიში უბრძანეს. არმიის ცხენოსანი რაზმი „მგლის ჭიშკრის“ გავ-

4 1919 წლის 13 სექტემბერს 12 საათსა და 55 წუთზე ვერის დაღმართზე (დღევანდელი მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა) ავტომობილს, რომელშიც სხვებთან ერთად გენერალი ილია ოდიშელიძე და დენიკის წარმომადგენელი, გენერალი ბარათოვი იხსდნენ, ბოლშევიკმა არკადი ელბაქიძემ ბომბი ესროლა. სამი პიროვნება დაიღუპა. ოდიშელიძე სახის არეში დაიჭრა, ბარათოვი – ფეხში.

ლით ლორეს მიმართულებით გაგზავნეს. მიუხედავად იმისა, რომ გენერალ ჯიჯიხიას დაჯგუფებამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია და კიზილკაის სიმაღლეებიც დაიკავა, საერთო შეტევა მაინც ვერ განხორციელდა. გარდა იმისა, რომ გენერალ სუმბათაშვილის შენაერთს პირადი შემადგენლობის 2/3 დაკარგული ჰყავდა, გადარჩენილ მეზრძოლთა მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა უმძიმესი იყო. შეტევაზე ფაქტობრივად მხოლოდ საგანგებო ბატალიონი გადავიდა, თუმცა ბევრი ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო (ბახტაძე 2013, 21).

შეცდომა № 7. რადგან გენერალ ჯიჯიხიას აირუმზე შეტევა უბრძანეს, ამიტომ წითელი ხიდის მიმართულება ფაქტობრივად დაუცველი დარჩა. შედეგად 16 თებერვალს წითელ ხიდზე მე-11 არმიის მიერ განხორციელებული შეტევის დროს, ხიდთან მდგომმა გურიის ბატალიონის ერთმა ასეულმა, ცხადია, სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო. მოწინააღმდეგე ხიდი დაიკავა და ჯავშანმანქანების მხარდაჭერით შეტევა განაგრძო.

შეცდომა № 8. წითელი ხიდის მიმართულებაზე რეზერვების შეყვანა ხდებოდა ცალ-ცალკე. ჯერ გვარდიის გურიის ბატალიონი ჩაება ბრძოლაში, შემდეგ თბილისის მე-3 ბატალიონი და ბოლოს თბილისის 1-ლი ბატალიონი. მართებულად წერდა აკაკი კვიციანი: „ბატალიონები იბრძვიან სხვადასხვა დროს. ერთი რომ დამარცხდება, მეორე გააბამს ბრძოლას“ (კვიციანი 1990, 121). რეზერვიდან ბრძოლაში ჩაბმული ბატალიონები მტერს ვერ აკავებდნენ, თავად კი მძიმე დანაკლისს განიცდიდნენ.

შეცდომა № 9. საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე არ მოხდა სამხედრო ქვედანაყოფების საჭირო რაოდენობის გამოძახება ქვეყნის შიდა რაიონებიდან.

შეცდომა № 10. თბილისთან 18-24 თებერვლის ბრძოლების დროს ქართული სარდლობა ფაქტობრივად არ იყენებდა კავალერიას. მართალია, ქართული კავალერია მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ გარკვეული ამოცანების გადაჭრა, რა თქმა უნდა, შეეძლო. გენერალ ანდრონიკაშვილის სექტორში, კოჯორ-ტაბახმელას მიმართულებაზე ცხენოსნების გამოყენება ალბათ არაეფექტური იქნებოდა. სოღანლულისა და ორხევი-ლილოს მიმართულებაზე კი ნამდვილად შეიძლებოდა. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ გენერალ მაზნიაშვილის სიტყვები, როცა ის 19 თებერვალს გამთენიისას რუსების შეტევის მოგერიების შემდეგ კონტრშეტევის აუცილებლობაზე საუბრობს – „მოწინააღმდეგის დახეულ ჯარებს თოფის ტყვია ვეღარ სწვდებოდა და ვესროდით მხოლოდ ზარბაზნებს. რეზერვში არ მყავდა დასვენებული არც ერთი ნაწილი, რომელსაც კი შეეძლო მტერს დასდევნებოდა. ლაშქრის შტაბმა, არ ვიცი რა მიზეზით, საჭიროდ არ ჩასთვალა, გამოეგზავნა ჩემთვის კავალერიის ერთი ესკადრონი მაინც, ცხენოსანი ჯარი კი იდგა იმ დროს სოფელ ლილოსთან უსაქმოდ“ (მაზნიაშვილი, მოგონებანი 1990, 167-168). ჩვენი აზრით, ქართული კავალერიის ფაქტობრივად სრული იგნორირება მთავარსარდლობის სერიოზული შეცდომა იყო.

შეცდომა № 11. პოლკოვნიკმა ირაკლი ცაგურამ, 24 თებერვალს ნასადილევეს შეიტყო რა მოწინააღმდეგის კავალერიის მანევრის შესახებ, მეტად თამამი კონტრშეტევა განახორციელა. აი, რას წერს იგი წერილში, რომელიც აკაკი კვიციანიშვილს გაუგზავნა: „სადილის შემდეგ ჩვენი მზვერავებისგან შევიტყვეთ, რომ წითლების ცხენოსანი კოლონები წისქვილიდან შორიანლოს, დიდი ლილოს შემოვლით აჭყალისკენ მიდიოდნენ. ინფორმაცია სასწრაფოდ ეცნობა ბრიგადის შტაბს, ხოლო პოლკს ებრძანა სასწრაფოდ დაძრულიყო,

რათა ბოლშევიკებისათვის ავჭალის დაკავებაში ხელი შეეშალა. გადავწყვიტე, საბჭოთა კავალერიის თამამ მანევრზე ჩვენი საკავალერიო იერიშით მეპასუხ ... სოფელ ნორიოსთან დავეწიე ბოლშევიკებს... შემოვლითი მანევრი უვნებელყოფილი იყო ჩვენი მამაცური შეტევით“ (ბახტაძე 2015, 13-14). ირაკლი ცაგურია იქვე დანანებით აღნიშნავს, რომ სარდლობამ არ ისარგებლა შექმნილი მომენტით და წარმატებული კონტრშეტევა აღარ გაგრძელდა. თავად ცაგურია მძიმედ დაიჭრა და ამან ბრძოლის გაგრძელების საშუალება არ მისცა. ცხადია, ჩნდება კითხვა, ჰყავდა კი მთავარსარდალს ძალები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა? ჩვენი აზრით, არსებობდა გარკვეული შენაერთები, რომლებითაც შესაძლებელი იყო წარმატებული შეტევის გაგრძელება. ვგულისხმობთ ცხენოსანი ბრიგადის დიდ ნაწილს⁵ და პოლკოვნიკ გედევანიშვილის დაქვემდებარებაში არსებული სხვა ქვედანაყოფებს.⁶ ცაგურიას მიერ დაწყებული კონტრშეტევის გაგრძელება მინიმუმ გაართულებდა რუსების მდგომარეობას, თუ მართლაც არ გამოიწვევდა მათი საკავალერიო შენაერთის განადგურებას. დარწმუნებული ვართ, თავად ცაგურია რომ არ დაჭრილიყო, ბრძოლა გაგრძელდებოდა.

შეცდომა № 12. თბილისის დატოვება 1921 წლის 24 თებერვალს. ამ საკითხზე ბევრი დაწერილა და კვლავაც დაიწერება. ყველას თავისი მოსაზრება და არგუმენტაცია აქვს. სადავო არ არის მხოლოდ ერთი რამ, გადაწყვეტილება თბილისის დატოვების შესახებ ერთპიროვნულად მიიღო მთავარსარდალმა გიორგი კვინიტაძემ. ჩვენი აზრით, ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად თავისთავად შეცდომა იყო.

მართებული იყო თუ არა მთავარსარდალის გადაწყვეტილება, ამაზე კამათი მაშინვე დაიწყო, დღესაც გრძელდება და ალბათ მომავალშიც იქნება. ყველას თავისი არგუმენტი აქვს. ჩვენ მათ განხილვას არ ვაპირებთ. შევეხებით მხოლოდ კვინიტაძის არგუმენტაციას, რადგან გადაწყვეტილება მან მიიღო და საინტერესოა, რის საფუძველზე. საკუთარ გადაწყვეტილებას გენერალი კვინიტაძე მოგვიანებით დაწერილ მოგონებებში შემდეგნაირად ხსნის: „საერთო მდგომარეობა ასეთი იყო. ჯერ კიდევ 23 თებერვალს მოწინააღმდეგე ნახშირ-გორასთან გამოჩნდა, საიდანაც სოფელ დილოში გადასვლა შეეძლო და სიმაღლეების დაპყრობის შემდეგ, მითუმეტეს, ავჭალაც უკვე მის ხელში იყო, თბილისიდან გასასვლელ გზებს გადაგვიკეტავდა, რაც დედაქალაქის ალყაში მოქცევას ანუ ჯარის და მთელი სამთავრობო აპარატის დაღუპვას ნიშნავდა. ამ ელემენტების დაკარგვის შემდეგ ქვეყანა ბრძოლას ვეღარ გააგრძელებდა, რაც ომის დასასრულს ნიშნავდა. მტრისთვის თბილისზე ალყის შემორტყმა არ უნდა დაგვენებებინა. მთავრობის მიერ ორჯერ დამტკიცებული ომის წარმართვის საერთო დირექტივის თანახმად, ომის გასაგრძელებლად თბილისიდან უნდა გაგვეღწია, ვინაიდან თბილისის დაცემა ომის დასასრულს არ ნიშნავდა. სწორი იყო თუ არა ეს გადაწყვეტილება? მიმაჩნია რომ სწორი იყო... ამრიგად 24 თებერვლის საღამოსათვის თბილისი, არსებითად ალყაში მოექცა. ავჭალა რომც გაგვეწმინდა, მტკვრის გასწვრივ ვიწრო გასასვლელი თუ დარჩებოდა – რკინიგზის ხაზი, ავჭალაზე გამავალი სასოფლო გზა და საქართველოს სამხედრო გზა. სიგანეში ეს ზოლი 2-3 ვერსს არ აღემატება და თბილისის თავდაცვის ზოლის ერთ მეათედს შეადგენს. ყოველივე ამას ჩვენს მიერ 3150

5 ცაგურიამ შეტევაზე წაიყვანა სახალხო გვარდიის ცხენოსანი პოლკის მხოლოდ ორი ესკადრონი, ოთხიდან. გარდა ამისა, ბრიგადაში შედიოდა არმიის ცხენოსანი პოლკიც.

6 გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის ინფორმაციით, ეს იყო გვარდიის სამი ბატალიონი და მოხალისეები (ზაქარიაძე 62).

სიმაღლის დაკარგვა ემატება, ყველაზე ტრაგიკული კი მარცხენა სანაპიროს ჯგუფის მიერ თავისი გამაგრებული პოზიციების მიტოვებაა. გარდა ამისა თადარიგში ერთი კაციც აღარ მყავდა... თბილისის ქუჩებში ბრძოლების გამართვა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ქალაქი ტაფობში მდებარეობს და მთებიდან გარშემორტყმული. ეს ხაფანგი იყო, საიდანაც ვერავინ ვერ გააღწევდა და ჯარი იძულებული გახდებოდა, დანებებულიყო. ჯარის გაყვანა და თბილისიდან 12-13 ვერსის მანძილზე გამაგრება გადაწყვიტე. თბილისის დასაცავი ყველა ძალა და საშუალება ამოიწურა, წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეგვეძლო. ქვეყნის დასაცავად თბილისი უნდა დაგვეტოვებინა, თუ არა ჯარისა და მმართველობის გარდაუვალი დაღუპვა გველოდა. ჩემი ეს გადაწყვეტილება მთავრობის თავმჯდომარეს ვაცნობე. თბილისზე გავლით ბრძოლით უკან დახვევა წარმატებას არ გვიქადდა. საუკეთესო საშუალება ღამის სიბნელეში უკანდახვევა იყო... საღამოს 5-6 საათისათვის მთავრობის თავმჯდომარეს მოვახსენე ჩემი გადაწყვეტილება უკანდახვევის შესახებ. ბრძოლის ყველა საშუალება ამოვწურეთ და ალყაში მოქცევა გვემუქრებოდა. 9 საათისათვის ეს ბრძანება გადაეცა ჯარს, რომელსაც უკანდახვევა ღამის 12 საათზე უნდა დაეწყო“ (კვინიტაძე 2014, 55-59).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს: 1) ავჭალა რუსების ხელში არ იყო. 24 თებერვალს მათ ეს სცადეს, მაგრამ ვერ მოახერხეს. 2) ტრიგონომეტრიული სიმაღლე 3150-ის საკითხი გაურკვეველია. გენერალი მაზნიაშვილისა და აკაკი კვიციანიშვილის ინფორმაციით, სიმაღლე დავიბრუნეთ. სიმაღლის დასაბრუნებლად განხორციელებულ კონტრშეტევას ადასტურებს რევაზ გაბაშვილიც. თავად კვინიტაძეც აღნიშნავს, რომ ზუსტი ცნობა იმის შესახებ, დაიბრუნა თუ არა მაზნიაშვილმა სტრატეგიული სიმაღლე, მას არ ჰქონდა. საბჭოთა რუსეთის კავკასიის ფრონტის სარდლობის ინფორმაციით, სიმაღლე 3150 მათ ხელში იყო. თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ქართველების კონტრშეტევის შემთხვევაში სიმაღლის შენარჩუნება ვერ მოხერხდებოდა. ჩვენი აზრით, პოლკოვნიკმა ნიკოლოზ ვაჩნაძემ თავის მე-9 ათასეულისა და 1-ლი ათასეულის ორი ასეულის დახმარებით 3150-ე სიმაღლე დაიბრუნა. ასეც რომ არ მომხდარიყო, თავად საბჭოთა მონაცემებიც ადასტურებს, რომ სიმაღლე 3150-ის ფლობა რუსებს არაფერს არ აძლევდა. ამდენად გენერალ მაზნიაშვილის სექტორში მოწინააღმდეგემ რეალურად ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწია. მაზნიაშვილის პოზიციებიდან რუსების შემოჭრის რეალური საფრთხე იმ მომენტში არ არსებობდა (ბახტაძე 2013, 72-74, 103). 3) „მარცხენა სანაპირო ჯგუფს“ ანუ სახალხო გვარდიას ორხევის პოზიციები არ მიუტოვებია. მართალია, ბრძოლის რაღაც მომენტში მათ დატოვეს სანგრები, მაგრამ საღამოს გენერალ ჯიჯიხიას ბრძანებით რეზერვიდან ბრძოლაში ჩაერთო იმერეთის ბატალიონი, აკაკი კვიციანიშვილის მეთაურობით და სენაკისა და ზუგდიდის ბატალიონებთან ერთად პოზიციები დაიბრუნა (ბახტაძე 2013, 76-90). ამას ნათლად ადასტურებს ინჟინერ მამაცაშვილის მოგონებაც (მამაცაშვილი 2014, 16-17). 4) რეზერვები მართლაც არ იყო. ანუ სამხედრო ქვედანაყოფი, რომელიც 24 თებერვალს ბრძოლაში არ მონაწილეობდა, არ არსებობდა. ყველა იყო ფრონტზე. თუმცა ალბათ შეიძლება გარკვეული გადაჯგუფებაც და მოსახლეობის მობილიზაციაც.

იყო კიდევ ერთი სერიოზული საფრთხე, თბილისის დაცვის მარცხენა ფრთის შემოკლა. ეს რუსებმა 24 თებერვალს სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდოდათ. ავჭალაზე მთავარი დარტყმის განხორციელებას მოწინააღმდეგე მე-18 და მე-12 დივიზიებით აპირებდა. ამ გზით თბილისის ალყაში მოქცევა სურდა. თუმცა ერთია სურვილი და მეორეა რეალობა. შეძლებდა კი ეს ორი დივიზია თბილისი-მცხეთის კომუნიკაციების გადაჭრას იმ დროს, როდესაც

ქართული მხარე აკონტროლებდა სარკინიგზო ხაზს და საშუალება ჰქონდა, ჯავშანმატარებლები გამოეყენებინა? პასუხი ვარაუდის სფეროს განეკუთვნება.

ცხადია ერთი რამ, მთავარსარდალმა გადაწყვეტილება მიიღო მცდარ ინფორმაციაზე დაყრდნობით. რაც, ცხადია, შეცდომა იყო. მთავარსარდალმა ჩათვალა, რომ თბილისის ალყის საშიშროება ემუქრებოდა და მიიღო კლასიკური გადაწყვეტილება – უკან დახევა და მოსალოდნელი ალყისთვის თავის დაღწევა. არადა საჭირო იყო არაორდინალური, რაიმე საგანგებო და განსაკუთრებულის მოფიქრება. ისე როგორც ეს გააკეთა პოლკოვნიკმა ჩხეიძემ 19 თებერვალს.

მე-11 არმიის სარდლობას გადაწყვეტილი ჰქონდა 19 თებერვალს თბილისი აელოცენტრში დამარცხების შემდეგ მათ შეტევის მიმართულება შეცვალეს და ჩვენი ჯარების მარჯვენა ფრთას შეუტიეს. დილის 8 საათზე მტერი სოფლების, ვაშლოვანისა და კუმისის წინ გამოჩნდა და ტაბახმელა-კოჯრის მიმართულებით დაიძრა. ტაბახმელას, სამხედრო სკოლასთან ერთად, მე-10 ათასეულის მეომრებიც იცავდნენ პოლკოვნიკ საგინაშვილის მეთაურობით. ეს სამხედრო ნაწილი სკოლის დასახმარებლად პოზიციებზე 18 თებერვალს საღამოს მივიდა. ტაბახმელას პოზიციებიდან მაიორმა ბახუტაშვილმა მოწინააღმდეგეს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა და დაფანტა. ცოტა ხანში მოწინააღმდეგის ცხენოსანი რაზმი გამოჩნდა. ქართველმა არტილერისტებმა ამჯერად მათი მიმართულებით გახსნეს ცეცხლი. მოწინააღმდეგეს ძალიან დიდი რიცხოვრივი უპირატესობა ჰქონდა და ნელ-ნელა წინ მოიწევა. 12 საათისათვის მათ უკვე უშუალოდ ტაბახმელას პოზიციებს შეუტიეს. №1 სანგრიდან ლეიტენანტ ერისთავის მეთაურობით გახსნილმა ტყვიამფრქვევების ცეცხლმა მოწინააღმდეგე შეაყოვნა. პარალელურად მიმდინარეობდა მტრის შეტევა კოჯრის მიმართულებითაც. აქ მყოფმა მე-4 ათასეულის ნაწილებმა მოწინააღმდეგის შემოტევას ვერ გაუძლეს და მამადავითის მიმართულებით უკან დაიხიეს. კოჯრის დაკავების შემდეგ ბოლშევიკები წავკისისა და ტაბახმელას მიმართულებით დაეშენენ. ამ დროს დაახლოებით 13.30 საათი იყო. შეიქმნა ტაბახმელას პოზიციებზე მყოფი ქართული ნაწილების ალყაში მოქცევის საშიშროება, ამიტომ გენერალმა ანდრონიკაშვილმა პოლკოვნიკ ჩხეიძეს ტაბახმელას დატოვება და ბრძოლით მამადავითისაკენ დახევა უბრძანა. გენერალ ანდრონიკაშვილის ამ ბრძანებასთან დაკავშირებით, ჩხეიძე წერს, „საერთოდ გენერალ ანდრონიკაშვილს თავი ეჭირა მეტად მშვიდად და განაგებდა საზრიანად. მის გადაწყვეტილებას შეიძლება მიეცეს ფსიქოლოგიური ახსნა. ის იმყოფებოდა თავის შტაბში და ვერ ხედავდა უშუალოდ ჯარებს, ვერ გრძნობდა სკოლის გამობრძმედილ მებრძოლ სულს და როგორც ბუნებით რბილი ადამიანი, ვერ პოულობდა თავის არსებაში იმდენ ნებისყოფას, რომ მოეთხოვა თავისი ჯარებისათვის, უეჭველი დალუპვის მიუხედავად, დამდგარიყვნენ და დალუპულიყვნენ“ (ჩხეიძე 1991, 55). აი, როგორ გადმოგვცემს თავის განცდებს ალექსანდრე ჩხეიძე: „ნაპოლეონობა არ იყო საჭირო იმის გამოსარკვევად, რომ იმ შემთხვევაში, თუ მე ბრძანებას ავასრულებდი, იმ საღამოსვე ტფილისის ბოლშევიკების მიერ იქნებოდა დაკავებული... მოზღვავდა მწველი განცდები... წარმოვიდგინე, რომ სამხედრო ისტორიკოსი ტფილისთან ბრძოლის აღწერის დროს დაწერს – კრიტიკულ წუთებში სამხედრო სკოლის რაზმმა დააგდო თავისი პოზიციები და დაიხია მამა-დავითის მთაზე. რის შედეგად ბოლშევიკებმა დაიკავეს ტაბახმელა და აქედან შევარდნენ ტფილისში. არა, ეს არ იქნება ისტორიაში ასე დაწერილი... მომაგონდა სამხედრო ისტორიიდან შემთხვევები, როდესაც ჯარის ნაწილები სწირავდნენ თავს არმიის დასახსნელად“ (ჩხეიძე 1991, 55). პოლკოვნიკი ჩხეიძე

ხვდებოდა, რომ მის ხელთ არსებული ძალებით კოჯრის გათავისუფლებას ვერ შეძლებდა. მაგრამ ისიც იცოდა, რომ საჭირო იყო მტრის შეჩერება, სანამ მთავარსარდალი დამატებით ძალებს გამოგზავნიდა. გენერალი კვინიტაძე რომ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებდა, ამაში პოლკოვნიკი დარწმუნებული იყო. გენერალმა კვინიტაძემ, კოჯრის დაკარგვის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე ტაბახმელას მიმართულებით გაგზავნა მე-5 ათასეული, გვარდიის იმერეთის და ბათუმის ბატალიონები. ამავე დროს ერევანსკის მოედანზე⁷ უნდა მისულიყო და შემდგომ ბრძანებებს დალოდებოდა გვარდიის თბილისის ორი ბატალიონი. ამ დროს კი პოლკოვნიკმა ჩხეიძემ მაიორ ბახუტაშვილს არტილერიის მობრუნება და მტრისათვის ცეცხლის გახსნა უბრძანა. სარდლობა დროებით ნესტორ გარდაფხაძეს გადააბარა და თავად გენერალ ანდრონიკაშვილთან შტაბში ჩავიდა. გადაწყდა არსებული ძალებით კონტრშეტევის განხორციელება და მტრის შეჩერება. იუნკრები, კაპიტან თოიძისა და მე-10 ათასეულის მებრძოლთა ნაწილები, კაპიტან ქარუმიძის მეთაურობით შეტევაზე გადავიდნენ. „იერიში დაიძრა! ნახევარი გუნდი⁸ წავიდა მარჯვნივ, იუნკრები მარცხნივ. ნახევარი გუნდის იერიში რამოდენადმე დაფარული იყო ბორცვებით, იუნკრები კი უტევენ სუფთა თოვლით დაფენილ ღია ადგილზე. დიდებული და ლამაზი სურათი იყო! არც ერთხელ დაწოლილან, ისე გაიარეს ცეცხლის ქვეშ 1 და 1/2 ვერსი. ეს მორალური დარტყმა ბოლშევიკებისთვის ცეცხლზე ძლიერი იყო! მიუახლოვდნენ 100-120 ნაბიჯზე და გახსნეს ცეცხლი, მაგრამ უბედურება არ გვტოვებდა ჩვენ! მე-10 ათასეულის ნახევარ გუნდში მოკლულ იქნა კაპ. ქარუმიძე; იუნკრების მწყობრში მოჰკლეს კაპ. თოიძე. ნახევარმა გუნდმა დაიწია უკან, მაგრამ შემდეგ გასწორდა და შეჩერდა. ბოლშევიკები გადმოვიდნენ ხიშტით იერიშზე ერთ-მუჭა იუნკრების წინააღმდეგ (სულ იყო 23 იუნკერი). იუნკრებმა დაიწიეს უკან, მოიმარჯვეს ადგილი და შეეგებნენ ცეცხლით! ჩვენმა ზარბაზნებმა გააწვირეს სროლა. ბოლშევიკები გაიქცნენ უკან თავიანთ თოვლის სანგრებში. ჩვენი არტილერიის მარჯვე ცეცხლმა (პირდაპირი დამიზნით) და გმირულ კონტრ-იერიშის მორალურმა დარტყმამ მტერი ადგილზე მიაჭედა! ჩვენ უკვე გადარჩენილი ვიყავით!“ (ჩხეიძე 1991, 54-56).

პოლკოვნიკმა ჩხეიძემ ალყის საშიშროება არად ჩააგდო, განსხვავებით გენერალ ანდრონიკაშვილისგან, რომელმაც ასევე „კლასიკური“ გადაწყვეტილება მიიღო და გამოსავალიც მოძებნა. გადაწყვეტილების მიღებისას მთავარსარდალმა არ გაითვალისწინა, თუ როგორი მაღალი საბრძოლო განწყობა ჰქონდა ჯარს და მოსახლეობასაც თბილისის დაცვისას, რა მოუვიდოდა მას დედაქალაქის დატოვების შემთხვევაში და არც სხვისი მოსაზრებები მოისმინა. მართებულად შენიშნავდა გენერალი მაზნიაშვილი: „ტფილისის დაცვა ისეთი დიდი საკითხია, რომ მისი გადაწყვეტა ასე მოჩქარებით, ასე დაუფიქრებლად ვერაფრით ვერ ამეხსნა. იმ კრებაზე, რომელზედაც ეს გადაწყვეტილება დადგენილება მიიღეს, არამც თუ არ მიგვიწვიეს ჩვენ, ფრონტის უფროსები, რომლებიც ფრონტს თვალთ დაეყურებდით, რომლებმაც კარგად ვიცოდით მოწინააღმდეგისა და ჩვენი ძალები, მათი და ჩვენი სულიერი განწყობილება, არამედ არც კი შეგვეკითხნენ, ჩვენი აზრის მოსმენა არც კი ინებეს“ (მაზნიაშვილი 1990, 176). გენერალმა ილია ოდიშელიძემ კი იქვე გააფრთხილა გენერალი კვინიტაძე, უთხრა რა, რომ დედაქალაქის დატოვება ჯარს მორალურად გაანადგურებდა და მცხეთაში გაჩერება შეუძლებელი იქნებოდა. სამწუხაროდ, გენერალ ოდიშელიძის წინასწარმეტყველება ახდა. გამოსავლის მოსაძებნად გენერალ კვინიტაძეს

7 დღევანდელი თავისუფლების მოედანი

8 მე-10 ათასეულის ნაწილი

დაახლოებით 8-10 საათი ჰქონდა. მას ამ მიმართულებით არც უფიქრია და 24 თებერვალს საღამოს პირდაპირ უკანდახვევის გადაწყვეტილება მიიღო. თეორიულად თუ ვიმსჯელებთ, კვინიტაძეს თათბირი უნდა მოეწვია, თუნდაც მხოლოდ გენერლების: მაზნიაშვილის, ანდრონიკაშვილის, ჯიჯიხიას მონაწილეობით. ამ შეხვედრაზე ეფიქრათ, ეკამათათ, საამისო დრო არსებობდა და თუ ვერანაირ გამოსავალს ვერ მოძებნიდნენ, მხოლოდ შემდეგ შეეძლო მთავარსარდალს უკანდახვევის გადაწყვეტილება მიეღო. მნიშვნელოვნად არაფერი შეიცვლებოდა, თუ ქართული შეიარაღებული ძალები უკანდახვევას 3-4 საათით გვიან დაიწყებდნენ.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ იმას, რაც დასაწყისში აღვნიშნეთ, ადვილია 95 წლის შემდეგ ვითარების ანალიზი. ის, რომ გიორგი კვინიტაძე, მთელი თავის საქმიანობით, სამი წლის მანძილზე ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა საქართველოს ცხადზე უცხადესია. 1921 წლის 24 თებერვალსაც ის გულწრფელად ცდილობდა საუკეთესო გადაწყვეტილება მიეღო და რაც სწორად ჩათვალა, ის გააკეთა. შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ მთავარსარდალის გადაწყვეტილება, სამწუხაროდ, მცდარი აღმოჩნდა.

გვინდა შევეხოთ კიდევ ორ სერიოზულ შეცდომას, რომელიც უმთავრესად უკვე საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის სინდისზეა. ეს შეცდომები დაშვებულ იქნა ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე. იმ მომენტში ალბათ არც ჩანდა, რომ ეს მცდარი გადაწყვეტილებები იყო. ამან თავი სწორედ 1921 წელს იჩინა. **პირველი** – არ მოხდა რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის გაერთიანება. ცნობილი სოციალ-დემოკრატი და 1920 წელს სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე შემდგომში წერდა: „სახელმწიფოს თავდაცვის საქმის ინტერესებს უფრო შეეფერებოდა, რომ ორი სამხედრო სისტემა აღარ დარჩენილიყო პარალელურად... საჭირო იყო [...] ამ ორი სამხედრო ორგანიზაციის სინთეზი და შედუღება, მათი ერთ მთლიან და ჩამოსხმულ ორგანიზმად გადაქცევა. აი ეს რეფორმა დაგვიანდა და ამ დაგვიანებას კი, არ ჰქონდა საკმაო გასამართლებელი საბუთი, ვინაიდან მას შემდეგ, რაც რესპუბლიკა შინაგანად უკვე ჩამოყალიბდა, ორსისტემიანობამ საფუძველი დაკარგა, რადგან საქართველოს ჯარი და საქართველოს გვარდია, ერთ მხედრობად გადაქცეული იქნებოდა უფრო ძლიერი, ვიდრე მათი მექანიკური ჯამი... თუ განსაზღვრულ დროში და პირობებში ორსისტემიანობა სრულიად აუცილებელი და უაღრესად საჭირო და სასარგებლო იყო, დროთა ვითარებაში ის საზარალოდ გადაიქცა. თუ მანამდე არა, ყოველ შემთხვევაში 1920 წლიდან მაინც, განსაკუთრებით ამ წლის ზაფხულიდან, მაის-ივნისის რუსეთ-საქართველოს (აზერბაიჯანის საზღვარზე) ომის შემდეგ ნათელი უნდა ყოფილიყო, თუ რამდენად აუცილებელი და მიზანშეწონილი იქნებოდა ამ ორი ერთი-მეორისაგან დამოუკიდებელი სამხედრო ორგანიზაციის ერთად შედუღება. ყოველ შემთხვევაში, მუდმივი ნაწილებისა და ხელმძღვანელ ცენტრების გაერთიანებით საქმის დაწყება და საერთოდ აქეთკენ კურსის აღება და არა საწინააღმდეგო გზით სიარული და მავნე პარალელიზმის კიდევ უფრო გაძლიერება და გაღრმავება. ამას მოითხოვდა რესპუბლიკის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკური და მხედრული ინტერესები“ (ლორთქიფანიძე 1991, 39-40).

მეორე – აუცილებელი იყო 1920 წლის მაისში, საქართველოს ოკუპაციის პირველი მცდელობის დროს, სამხედრო მოქმედებების გადატანა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და წითლების იქ დამარცხება. 1920 წლის 27 აპრილს, საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა აზერბაიჯანის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები დაიწყეს. აზერბაიჯანის მთავ-

რობამ დახმარებისთვის საქართველოს მიმართა და ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს ხელისუფლებას სასწრაფოდ სამხედრო დახმარება უნდა აღმოეჩინა მეზობელი მოკავშირე სახელმწიფოსათვის. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ არაფერი იღონა აზერბაიჯანის დასახმარებლად. შედეგად მოხდა ის, რომ აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ „წითლები“ საქართველოს საზღვრებში შემოიჭრნენ. იმ ეტაპზე საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად განაპირობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის მიერ ფაქტობრივად კაპიტულაციის გამოცხადებამ. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობას, რაც არ უნდა სწრაფი გადაწყვეტილება მიეღო, ქართულ შეიარაღებულ ნაწილებს, რაც არ უნდა ოპერატიულად ემოქმედათ, ისინი ქალაქ ბაქოს ვერ გადაარჩინდნენ. სამაგიეროდ „წითლების“ შეჩერებას მინიმუმ განჯასთან მაინც შეძლეს. ეს რადიკალურად შეცვლიდა მდგომარეობას. გენერალი კვინიტაძე, რომელიც 1920 წლის მაისში საქართველოს საზღვრებში შემოჭრილი ბოლშევიკური ძალების განდევნას მეთაურობდა, თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ იმ მომენტში მისთვის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადასვლისა და „წითლების“ დევნის უფლება რომ მიეცათ, თავისუფლად შეძლებდა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთგული შეიარაღებული ძალების დახმარებით ბოლშევიკთა განდევნას მეზობელი რესპუბლიკიდანაც. „სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტა დიდ პოლიტიკურ შეცდომად მიმაჩნია. არ დავიწყებ მკითხაობას, რა მოხდებოდა, მაგრამ ვიტყვი, რომ ეს იყო ამიერკავკასიაში ბოლშევიკების ყველაზე დიდი სისუსტის და პოლონეთისა და ვრანგელის მხრიდან მათთვის დიდი საშიშროების მომენტი. მომავალში ჩვენ აღარასოდეს გვეყოლებოდა ისეთი სუსტი მტერი, როგორც ახლა იყო. ბაქოს აღების შემდეგ ბოლშევიკები თბილისზე იმიტომ კი არ წამოვიდნენ, რომ პირველივე მარცხის შემდეგ ამიერკავკასიის დაპყრობაზე უარი ეთქვათ. ისინი კვლავ ეცდებოდნენ მიზნის მიღწევას. და რადგან ეს ასე იყო, მათთან მაშინ უნდა გვებრძოლა, როცა განგების ნებით საკმაოდ დასუსტებულნი იყვნენ. აზერბაიჯანში ბოლშევიკების ძალაუფლება მყარი არ იყო, ძალები მცირე ჰყავდათ (ამ ფრონტზე სულ 3-4 დივიზია), მოსახლეობა მათ მიმართ მტრულად იყო განწყობილი (განჯის აჯანყება), აზერბაიჯანული ჯარი ჩვენკენ იხრებოდა, ამასთან, ბოლშევიკები პოლონეთსა და ვრანგელს ებრძოდნენ, ყველა ეს გარემოება ჩვენთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ძალების დროულად გაძლიერებას ბოლშევიკები ვერ მოახერხებდნენ, ამიტომ ჩვენ წარმატებით წავიწვევდით წინ, ბაქოსკენ, რასაც უსათუოდ მთიელთა აჯანყება მოჰყვებოდა, ეს კი რუსეთის ამიერკავკასიასთან კავშირს შეაფერხებდა. იქნებ ამ ხელსაყრელ მონაცემებს ვაზვიადებ, მაშინ მომავალმა თაობამ ცივი გონებით შეაფასოს ყოველივე და თავისი დასკვნები გამოიტანოს“ (კვინიტაძე 2014, 172). 1920 წლის მაისში არსებული ვითარების გათვალისწინებით, მართლაც სავსებით შესაძლებელი იყო კვინიტაძის გეგმის განხორციელება. იმ დროს საბჭოთა რუსეთის ძირითადი და საუკეთესო სამხედრო ძალები პოლონეთთან ომში იყვნენ ჩაბმულნი. აპრილის ბოლოს პოლონელებმა ახალი შეტევა წამოიწყეს და 7 მაისს კიევიც კი დაიკავეს. საბჭოთა ხელმძღვანელობამ სასწრაფო ღონისძიებები გაატარა: დასავლეთის ფრონტის სარდლად გადაიყვანეს კავკასიის ფრონტის სარდალი ტუხაჩევსკი, პოლონელთა წინააღმდეგ გაიგზავნა ბუდიონის 1-ლი ცხენოსანი არმია და სხვ. ამიტომ მთელი ყურადღება პოლონეთთან ომზე იყო გადატანილი. ძალიან სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა საბჭოთა ხელისუფლებას ბარონი ვრანგელიც. მან შეძლო წითლების რამდენიმე დივიზიის დამარცხება და სამხედრო მოქმე-

დებები ყირიმის ნახევარკუნძულის გარეთ, ჩრდილოეთ ტავრიაში გადაიტანა. ვრანგელის მოქმედებაც გაცილებით სახიფათო და საშიში იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ვიდრე ბრძოლები სამხრეთ კავკასიაში. გასათვალისწინებელია, რომ ბრძოლები მიმდინარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში და დამოუკიდებელი აზერბაიჯანის სამხედრო ნაწილებიც ნამდვილად სერიოზულ ძალას წარმოადგენდა. ამას ადასტურებს თუნდაც მოგვიანებით მომხდარი განჯის აჯანყება, რომლის ჩახშობაც წითლებს ძალიან გაუჭირდათ (აჯანყება დაიწყო 22 მაისს და ამბოხებულებმა ქალაქი მხოლოდ 2 ივნისს დატოვეს).

ცხადია, გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა ბოლშევიკების დამარცხება, თუკი ქართული შეიარაღებული ძალები მოწინააღმდეგეს მოკავშირის ტერიტორიაზე შეეგებებოდნენ და ბრძოლაში აზერბაიჯანის არმიის შენაერთებსაც დაიხმარებდნენ. თუ რაოდენ მყიფე იყო ბოლშევიკების მდგომარეობა იმ დროს, ადასტურებს XI არმიის სარდლობისთვის გაგზავნილი დირექტივაც, რომლის მიხედვითაც საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტრშეტევის შემთხვევაში ერთადერთი, რაზეც XI არმიას უნდა ებრუნა, ეს ბაქოს შენარჩუნება და დაცვა იყო.

საკმარისი იყო, საბჭოთა რუსეთს სამხრეთ კავკასიაში ფეხი შემოედგა და აქ არსებული სახელმწიფოებიდან ერთ-ერთი მაინც დაეპყრო, რომ დანარჩენების ყოფნა-არყოფნის საკითხი მხოლოდ დროის ფაქტორილა იყო. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ სხვაგვარად განსაჯა და ეს კატასტროფული შეცდომა აღმოჩნდა.

1921 წლის 25 თებერვალს გამთენიისას ქართული ჯარის მიერ თბილისის დატოვებამ ფაქტობრივად გადაწყვიტა ომის ბედი. მიუხედავად ამისა, საქართველოს შეიარაღებული ძალები კიდევ ორი კვირის მანძილზე აწარმოებდნენ თავგანწირულ ბრძოლას სამშობლოს გადასარჩენად. ამ დროსაც იყო დაშვებული შეცდომები (მაგალითად, გენერალ სოსო გედევანიშვილის დანიშვნა გორისაკენ უკანდახეული ერთ-ერთი კოლონის უფროსად, გორში ჯარის ორი დღით შეჩერება და სხვ.), მაგრამ მათ გადამწყვეტი როლი უკვე აღარ უთამაშიათ, ამიტომ მათზე არაფერს ვიტყვით.

ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილმა საბედისწერო შეცდომებმა მნიშვნელოვნად განაპირობა 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს გააჩნდა რესურსი, რომლის სწორად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი იყო 1921 წელს დამოუკიდებლობის შენარჩუნება. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს: რომ საბჭოთა რუსეთი კვლავ არ ეცდებოდა საქართველოს დაპყრობას, რომ საქართველო ყოველთვის შეძლებდა აგრესორის დამარცხებას, რომ ჩვენ აუცილებლად დავრჩებოდით დამოუკიდებელ სახელმწიფოდ სულ მცირე 1939-1940 წლებამდე მაინც, და სხვ. ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ 1921 წლის თებერვალ-მარტში მიმდინარე ომს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბახტაძე მ. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან. თბილისი. 2013
2. ბახტაძე მ. გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები VII. თბილისი. 2013
3. ბახტაძე მ. გენერალ ილია ოდიშელიძის მიერ 1921-1922 წლებში კონსტანტინოპოლში წაკითხული მოხსენების შესახებ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები X. თბილისი. 2016
4. ბახტაძე მ. პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია. ქართული ემიგრაცია №3 (6). თბილისი. 2015
5. ზაქარიაძე ა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. 4. თბილისი. 2003
6. კვინიტაძე გ. ჩემი მოგონებები. ნაწილი I და II. თბილისი. 2014
7. კვიციანიშვილი ა. რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ. ჟურნალი „განთიადი“ № 2. ქუთაისი. 1990
8. ლორთქიფანიძე გ. ფიქრები საქართველოზე ჟურნალი „მხედარი“ №1. თბილისი. 1991
9. მაზნიაშვილი გ. მოგონებანი. ბათუმი. 1990
10. მამაცაშვილი ი. მოგონებანი (1921 წლის თებერვალ-ივლისი). თბილისი. 2014
11. „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთი, №36. 1921
12. ჩხეიძე ა. სამხედრო სკოლა. ჟურნალი „მხედარი“ №1-3. თბილისი. 1991